შეტყობინება მეშვიდე

**ღმერთის მიერ დებორას წამოყენება როგორც ისრაელის მსაჯულის და დედის ისრაელში, რომელიც პრაქტიკულად ავლენდა დედაკაცის დამორჩილებას მამაკაცისადმი, რათა დაეცვა ღმერთისმიერი დადგენილება და მიეყვანა მთელი ისრაელი სათანადო წესრიგში ღმერთის მეფობისა და თავობის ქვეშ**

ადგილები წერილიდან: მსაჯ. 4–5

**I. მსაჯულთა წიგნი გვიჩვენებს, რომ ისრაელმა შეურაცხყო ღმერთი, უარყო ის როგორც თავისი მეფე; ეს არის უდიდესი ბიწიერება და უდიდესი ბოროტება, ღმერთის თვალში, თუ ჩვენ უარვყოფთ მას, როგორც ჩვენს მეფეს, ჩვენს უფალს, ჩვენს თავსა და ჩვენს ქმარს – 1 მეფ. 8:7; 12:17, 19; მსაჯ. 21:25; 17:6; ლუკა 19:11-14; იერ. 11:13; ეზეკ. 16:24:**

ა. ჩვენ მუდმივად უნდა მივიღოთ ქრისტე როგორც ჩვენი მეფე, ჩვენი უფალი, ჩვენი თავი და ჩვენი ქმარი, განვიცადოთ ასეთი ქრისტე და დავტკბეთ ასეთი ქრისტეთი, რათა ის იყოს ჩვენი კურთხევა იმ მიზნით, რომ გაგვხადოს ჩვენ კურთხევის არხი წმიდანებისა და ყველა ეკლესიისათვის – მათე 2:2; იოანე 1:49; ებრ. 7:2; ესაია 32:1-2; 33:22; ფილიპ. 2:9-11; რომ. 14:6-9; 2 კორ. 4:5; კოლ. 2:19; ეფეს. 1:22-23; 2 კორ. 11:2-3; ოსია 2:19-20; რიცხ. 6:23-27; ფსალ. 128:5; 48:2.

ბ. მათეს 1:1-ში საუბარია ქრისტეზე როგორც „დავითის ძეზე, აბრაამის ძეზე“:

1. ვინაიდან ჩვენ ვჯანყობთ, ჩვენ უნდა მოვინანიოთ და მივიღოთ ქრისტე როგორც დავითის ძე, ანუ, როგორც ჩვენი ძალაუფლება, როგორც ჩვენი უზენაესი ძალაუფალი და მეფე, რათა მან მართოს ჩვენში და ჩვენზე ღმერთის სამეფოში.
2. თუ ჩვენ გვეყოლება ქრისტე როგორც დავითის ძე, დიდი სოლომონი, ჩვენ ასევე გვეყოლება ის როგორც აბრაამის ძე, ნამდვილი ისააკი; ეს ნიშნავს, რომ, რაც უფრო მეტად ვღებულობთ ქრისტეს როგორც ჩვენს მეფეს (დავითის ძეს), უფრო მეტად ვიმყოფებით მისი მმართველობის ქვეშ, და რაც უფრო მეტად ჩვენ ვიმყოფებით მისი მმართველობის ქვეშ, უფრო მეტად ჩვენ ვტკბებით მისით როგორც ჩვენი კურთხევით (აბრაამის ძით); ეს არის კურთხევა გამზადებული სამერთიანი ღმერთის, დასრულებულის როგორც ყოვლისმომცველი სულის – მუხ. 1; გალ. 3:14, 16, 29.
3. ამის შედეგად ჩვენ გავხდებით არხები კურთხევისა წმიდანების წარმატებისათვის (მათი ზრდისა სიცოცხლეში) და მათი რწმენის სიხარულისათვის (მათ მიერ ქრისტეთი ტკბობისათვის); ჩვენ ვართ მოწოდებულნი იმისათვის, რომ ვაკურთხოთ სხვები, ამიტომ ჩვენ, კურთხეულმა ადამიანებმა, ყოველთვის უნდა ვაკურთხოთ სხვები, რათა დავიმკვიდროთ კურთხევა – ფილიპ. 1:25; 1 პეტ. 3:9.

**II. ღმერთმა წამოაყენა დებორა როგორც მსაჯული ისრაელისა, რომელიც პრაქტიკულად არის დამორჩილება დედაკაცისა მამაკაცზე, რათა დავიცვათ**

**ღმერთის დადგენილება და მივიყვანოთ მთელი ისრაელი სათანადო წესრიგში ღმერთის მეფობისა და თავობის ქვეშ – მსაჯ. 4–5:**

ა. ისრაელის შვილებმა ისევ დაიწყეს ბოროტის კეთება იეჰოვას თვალში, მას შემდეგ, რაც მოკვდა ეჰუდი (4:1), ამიტომ იეჰოვამ მიყიდა ისრაელი იაბინს, ქანაანის მეფეს, რომლის მხედრობის მეთაურიც იყო სისარა; მას ჰქონდა ცხრაასი რკინის ეტლი, და ის სასტიკად ჩაგრავდა ისრაელს ოცი წლის განმავლობაში – მუხ. 2, 3ბ.

ბ. იმ დროს, რომელზეც საუბარია მსაჯულთა წიგნის მე-4 თავში, ისრაელის კაცებმა განიცადეს მარცხი ღმერთის მიერ დადგენილ თავიანთ ხელმძღვანელ ფუნქციაში; ამან აიძულა ღმერთი, გაეკეთებინა რაღაც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი – წამოეყენებინა დედაკაცი, დებორა, როგორც მსაჯული ისრაელისა; ასეთი დედაკაცის წამოყენებამ მთლიანად შეცვალა ისრაელის მდგომარეობა – მუხ. 4–5.

გ. ისრაელის შვილები შესძახოდნენ იეჰოვას (მუხ. 3ა), და დებორა, წინასწარმეტყველი, იყო წამოყენებული როგორც მსაჯული ისრაელისა; ის იჯდა დებორას პალმის ქვეშ, და ისრაელის შვილები მიდიოდნენ მასთან სასამართლოსათვის (მუხ. 4-5).

დ. ბიბლიაში სათანადო დედაკაცი აღნიშნავს ადამიანს, რომელიც იმყოფება ღმერთის მორჩილებაში, ადამიანს, რომელსაც უკავია ღმერთის მიერ მისთვის დადგენილი ადგილი; ასეთი მდგომარეობა უნდა დაეკავებინა ისრაელს ღმერთის, როგორც თავისი მეფის, თავისი უფლის, თავისი თავის და თავისი ქმრის, წინაშე, მაგრამ მან დაარღვია ღმერთის დადგენილება: დატოვა თავისი მდგომარეობა როგორც ღმერთის ცოლის და მიატოვა ღმერთი, ამჯობინა ასობით კერპები; ამის გამო ისრაელი აღმოჩნდა საცოდავ სიტუაციაში და საცოდავ მდგომარეობაში:

1. სამსონი იყო ნაზარეველი თავისი დედის მუცლიდან მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში; ნაზარეველს უნდა გაეზარდა თმები; ეს აღნიშნავს, რომ ის უნდა დარჩენილიყო უფლის თავობის მორჩილებაში, რომელშიც არის ძალა – რიცხ. 6:5; მსაჯ. 16:17; 1 კორ. 11:3-6, 10, 15.
2. მაგრამ დალილა აიძულებდა მას თავისი სიტყვებით ყოველ დღე და თხოვდა მას, გაეზიარებინა მისთვის თავისი ძალის საიდუმლო, ისე რომ „სასიკვდილოდ შეწუხდა მისი სამშვინველი“ (მსაჯ. 16:16); სატანის მიერ ძალის გამომცლელი ტაქტიკის გამოყენების გამო სამსონი აღმოჩნდა სატანის ხაფანგში, მას გადაპარსა თმები დალილამ, და ის იყო დაპყრობილი ფილისტიმელების მიერ, მან დაკარგა თავისი მიძღვნა ნაზარეველისა, თავისი ძალა, თავისი მოწმობა გაწმიდანებისა და ღმერთის თანდასწრება (დან. 7:25).
3. ის, ვინც ღებულობს განსხვავებულ და მცდარ სწავლებას იმის შესახებ, რომ მორწმუნეები არ უნდა დაემორჩილონ ღმერთის მიერ დანიშნულ ძალაუფლების წარმომადგენელს, იქნებიან გაფუჭებულნი ამ სწავლებით; ჩვენ (განსაკუთრებით გათხოვილ დებს – ეფეს. 5:22-24) უნდა ქონდეთ სული, მდგომარეობა, ატმოსფერო და განზრახვა,

დამახასიათებელი მორჩილებით; თუ თქვენ ხართ ასეთი ადამიანი, მაშინ თქვენზე და თქვენს მომავალზე გადმოვა დიდი კურთხევა.

ე. დებორას სიმღერის წაკითხვისას მსაჯულთა წიგნის მე-5 თავში, ჩვენ ვხედავთ, რომ მას ჰქონდა განსაკუთრებული უნარები, მოხერხებულობა, გამჭრიახობა და წინასწარგანჭვრეტა, მაგრამ ასეთი აღმატებული და უნარიანი ადამიანი იყო ძალიან მორჩილი; ღმერთმა გახადა ის ბელადი, მაგრამ ის ინარჩუნებდა სათანადო წესრიგს და მიიღო ბარაკი როგორც თავისი დაფარვა – 4:6-9; შდრ. 1 კორ. 11:3-6, 10.

ვ. დებორა აცნობიერებდა, რომ მას სჭირდებდა მამაკაცი როგორც მისი დაფარვა; როგორც ამბობს პავლე 1 კორ. 11:3-ში: „კაცის თავი არის ქრისტე, ხოლო დედაკაცის – კაცი, ხოლო ქრისტეს თავი – ღმერთი“.

ზ. როდესაც ამ შესანიშნავმა, გამორჩეულმა დედაკაცმა გადადგა პირველი ნაბიჯი დედაკაცის მამაკაცისადმი დამორჩილების საკითხში, მთელ ქვეყანაში გამეფდა შესანიშნავი და სათანადო წესრიგი; ყველა ბელადი გამოვიდა წინა ხაზე, მთელი ხალხი გაჰყვა მას, და ჩამოყალიბდა ჯარი; ყველა მამაკაცმა და ყველა დედაკაცმა ისევ დაიკავა თავისი სათანადო მდგომარეობა იეჰოვას წინაშე.

თ. ამიტომ დებორას შეეძლო ეთქვა თავის სიმღერაში: „იმისათვის, რომ ბელადები მიგვიძღოდნენ ისრაელში, იმისათვის, რომ ხალხმა ნებაყოფლობით მიუძღვნა თავი, აკურთხეთ იეჰოვა... მაშინ ჩამოვიდა ცნობილთა ნატამალი; ისრაელის ხალხი ჩამოვიდა ჩემთან ერთად ძლიერთა წინააღმდეგ“ – მსაჯ. 5:2, 13.

ი. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია დების ეკლესიაში არის მორჩილება; თუ დები შეძლებენ ამ გაკვეთილის შეთვისებას, ეკლესია იქნება ძლიერი, გამდიდრებული და განახლებული:

1. იმისათვის, რომ დავემორჩილოთ, საჭიროა სასიცოცხლო შეწევნა, მადლით ტკბობა, ჯვრის მუშაობა და საკუთარი „მეს“ უარყოფა.
2. ის, ვინც ავსებულია ქრისტეთი, ავსებულია მორჩილებით; უფალმა, რადგან ის იყო მორჩილი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, მოგვცა თავისი დამორჩილებისა და მოსმენის სიცოცხლე – ფილიპ. 2:5-11; ებრ. 5:7-9.
3. ის, რომ და თხოვდება ძმაზე, ნიშნავს, რომ ის მზად არის მიიტანოს თავისი თავი მსხვერპლად და თქვას: „მე მზად ვარ დავემორჩილო“; თუ დას არასოდეს ჰქონია განზრახვა თავის გულში, დამორჩილებოდა იმას, ვიზეც აპირებდა გათხოვებას, მაშინ ის არ უნდა იყოს მისი ცოლი და არ უნდა გაჰყვეს მას ცოლად – ეფეს. 5:22-23; 1 პეტ. 3:1-6.

**III. დებორა წამოიმართა არა მარტო როგორც მსაჯული ისრაელისა, არამედ ასევე როგორც დედა ისრაელში – მსაჯ. 5:7:**

ა. როდესაც ეკლესიური ცხოვრება პრაქტიკულად მიაღწევს მწვერვალს, თითოეულ ეკლესიაში უნდა იყვნენ ნამდვილი დედები; რომ. 16:13-ში პავლე ამბობს: „მოიკითხეთ რუფუსი, ამორჩეული უფალში, და დედამისი და ჩემი“:

1. მოციქულ პავლეს სჭირდებოდა დედა; რომ არ ყოფილიყო და, რომელიც როგორც დედა იზრუნებდა მათზე, ყველა, ვინც ატარებს საზრუნავს უფლის მსახურებისათვის, დამწუხრდებოდა; ჩვენ ყველას გვჭირდება ზრუნვა სულიერი დედებისა, ვისი ზრუნვაც არის ჩვენი ჭეშმარიტი საკვები და ჩვენი ჭეშმარიტი დაცვა.
2. ის, რომ პავლეს ჰყავდა სულიერი დედა, გვიჩვენებს, რომ წმიდანებს ეკლესიურ ცხოვრებაში რომში ჰქონდათ სიცოცხლის გადაცემა ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის მეშვეობით; საუკეთესო გზა იმისათვის, რომ გვქონდეს სიცოცხლის გადაცემა არის იმის მეშვეობით, რომ გავყვეთ პავლეს ნიმუშს, რომელმაც გადაწყვიტა, არ სცოდნოდა არაფერი, გარდა ყოვლისმომცველი ქრისტესი, და სცოდნოდა ის მხოლოდ ჯვარცმული – 1 კორ. 2:2.

ბ. იოანეს სახარება არის წიგნი სიცოცხლეზე, მაგრამ არა ბუნებრივ სიცოცხლეზე, არამედ გადაცემულ და გარდასახულ სიცოცხლეზე; თავდაპირველად, იოანე არ იყო მარიამის ძე, და მარიამი არ იყო იოანეს დედა, მაგრამ ქრისტეს სიცოცხლის გამომთავისუფლებელი სიკვდილის მეშვეობით, მისი სიცოცხლის დამრიგებელი აღდგომის მეშვეობით, და მისი სასიცოცხლო კავშირის მეშვეობით მათთან, მის საყვარელ მოწაფეს შეეძლო ყოფილიყო ერთი მათთან და გამხდარიყო ძე მისი დედის, ხოლო მას შეეძლო გამხადარიყო დედა მისი საყვარელი მოწაფის – 19:26-27.

გ. ჩვენი პირველი სახეობა ურთიერთობისა არის ურთიერთობა ხორცში, ხოლო მეორე სახეობა ურთიერთობისა არის ურთიერთობა სულში, ანუ გადაცემულ სიცოცხლეში; ვინაიდან ჩვენ გვაქვს მეორე დაბადება (3:6), ჩვენ ეჭვგარეშეა, გვაქვს მეორე სახეობა ურთიერთობისა, მეორე სახეობა ოჯახური ურთიერთობებისა ნამდვილ დებთან და ნამდვილ დედებთან.

დ. თუ დები ავარჯიშებენ თავიანთ ლოცვისა და რწმენის სულს, რათა იყვნენ ნამდვილი დედები (2 კორ. 4:13), ისინი გააცნობიერებენ, თუ რამდენად ეგოისტურები არიან და რამდენად არიან თავიანთ თავში; თუ მათ ექოლებათ კარგი შვილები სულში, ეს უმაღლეს დონეზე ამხელს მათ; გარდა ამისა, როდესაც ზრუნავენ რამდენიმე სულიერ შვილზე, დები გაიზრდებიან და მომწიფდებიან სიცოცხლეში.

ე. თუ დებს უყვართ უფალი და სერიოზულად არიან განწყობილნი, იცხოვრონ ეკლესიური ცხოვრებისათვის უფლის აღდგენაში, მათ უნდა ჩათვალონ თავისი თავი მსახურ მედდებად, ეკლესიურ მედდებად, რომლებიც ავლენენ მედდების ზრუნვას ეკლესიაში როგორც ნამდვილ სავადმყოფოში; ყველა და უნდა იყოს მსახური და ლოცვის გზით და მოყვარული დედები სიყვარულის აღმატებული გზით, რათა დაეხმარონ საჭიროების მქონეთ და უფრო ახალგაზრდებს მათ სულიერ ცხოვრებაში და ეკლესიურ ცხოვრებაში; ეს არის საუკეთესო საშუალება, რომ მივიღოთ კურთხევა, ზრდა, სულიერება და ნამდვილი ტკბობა უფლით – რომ. 16:1-2, 13; ესაია 66:12-13; 1 კორ. 12:31ბ; 13:4-7.

**IV. ბიბლიაში საუბარია, რომ იმ დროს ღმერთის ხალხს შორის იყო „დიდი გადაწყვეტილება გულში“, და ასევე „დიდი გამოკვლევა გულის“ – მსაჯ. 5:15-16:**

ა. გვქონდეს დიდი გადაწყვეტილება – ნიშნავს მივიღოთ მყარი გადაწყვეტილება, ხოლო გვქონდეს დიდი გამოკვლევა – ნიშნავს შევიმუშავოთ გეგმა იმისა, თუ როგორ ვიცხოვროთ უფალი და გამოვავლინოთ უფალი ჩვენი სიცოცხლით მისი თანამედროვე აღდგენისათვის მისი სხეულის აშენებაში, მისი პატარძლის მომზადებაში და მისი სამეფოს მოყვანაში მის გამოვლინებაში – 2 კორ. 5:14-15; რომ. 14:7-9; გამოცხ. 19:7-9.

ბ. იმ დროს როდესაც 1943 წელს ძმა ლი ექვემდებარებოდა შევიწროებას იაპონური სამხედრო პოლიციის მხრიდან, უფალმა მისცა მას სიზმარი, სადაც მან იხილა განთიადი, ის თუ როგორ თენდებოდა, და ფართო გზა, სრულიად განათებული, პირდაპირი და უსასრულო მომავალი უფლის აღდგენისა – შდრ. იგავ. 4:18.

გ. ჩვენ უნდა ვისწრაფოთ და ვილოცოთ, რომ ვიყოთ მათი მსგავსნი, ვისაც აღწერს დებორა თავისი სიმღერის დასასრულს, რომელიც სრულდება დიდებული სახით: „მისი მოყვარულები დაე იყვნენ როგორც მზე, როდესაც ის ამოდის თავის ძლევამოსილებაში“ – მსაჯ. 5:31:

1. ის, რომ მზე ამოდის თავის ძლევამოსილებაში, ნიშნავს, რომ ის ანათებს ნათლად, დამაბრმავებლად და დიდებულად; თუ ყველა ეკლესია განიცდის ამ გადაწყვეტილებას, გამოკვლევას და აღმასვლას, რათა ანათოს როგორც მზემ, ისინი, ეჭვგარეშეა, დატკბებიან უფლით როგორც თავისი გამარჯვებით.
2. გამარჯვებულები, რომლებიც იცვლიან შემადგენლობას განკურნებელი ქრისტეთი როგორც სამართლიანობის მზით, გაბრწყინდებიან, როგორც მზე, მათი მამის სამეფოში – მალ. 4:2; ლუკა 1:78-79; მათე 13:43.

*© 2021 Living Stream Ministry*